BeNaec GeCat - გამოსაშვები გამოცდების რეპეტიცია Naec-თან ერთად

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სთავაზობს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს, ასევე ყველა მსურველს, გამოსაშვები გამოცდების ანალოგიური ტესტირების გავლას ნებისმიერი ხელმისაწვდომი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერიდან შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა, უცხოური ენა, ისტორია. ტესტირებისას გამოყენებული იქნება ახალი, სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი დავალებები. რეგისტრაციისა და ტესტირების გავლა **10 მარტიდან იქნება შესაძლებელი ვებგვერდებზე www.naec.gov.ge online.naec.ge**

მსურველები, მონაწილეობის საფასურის გადახდის შემდეგ, ცენტრის ვებგვერდებიდან, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით გაივლიან ტესტირებას. პროგრამა იმავე ალგორითმით შეაფასებს მონაწილეებს, როგორიც ეს გამოსაშვები გამოცდებისას ხდება. მიღებულ შეფასებას მონაწილე ეკრანზე დაინახავს.

ტესტირებაში მონაწილეობის საფასურია 10 ლარი. გადახდილი თანხა ოპერატიულად აისახება სისტემაში, მონაწილეს თანხის ასახვისთანავე შეუძლია ტესტირების გავლა. ტესტირებაში მონაწილობის მიღება შესაძლებელია 3-ჯერ. ინფორმაცია თანხის გადახდის ფორმების შესახებ გამოქვეყნდება ვებგვერდზე www.naec.gov.ge

რეგისტრაციისა და ტესტირების დეტალური ინსტრუქცია გამოქვეყნდება რეგისტრაციის დაწყებამდე ვებგვერდზე www.naec.gov.ge